

შპს „ივერმედი“ და კონსოლიდირებული კომპანია
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 357 841

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
1 ჯგუფი და მისი საქმიანობა	10
2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3 სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	17
4 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება	18
5 ძირითადი საშუალებები	21
6 სხვა აქტივები	22
7 მარაგები	22
8 სავაჭრო მოთხოვნები (ნეტო)	22
9 გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	22
10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22
11 სესხები	22
12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
13 შემოსავალი რეალიზაციიდან	23
14 გაყიდვების თვითღირებულება	24
15 გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	25
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
17 ნეტო ფინანსური შემოსულობა /(ხარჯი)	25
18 სხვა მოგება (ნეტო)	25
19 კაპიტალი	26
20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	26
21 ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა	27
22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
23 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები	30

ანგარიშგება მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „ივერმედი“-ს (შემდგომში „ჯგუფი“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

თამარ წივწივაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ივერმედის“ (ს/კ 211 357 841) ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს.

აუდიტორული დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ივერმედის“ (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ივერმედის“ (ს/კ 211 357 841) ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს.

აუდიტორული დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ივერმედის“ (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია (გაგრძელება)

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გვეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთი შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკეულ ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია (გაგრძელება)

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან იეცდობით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზრდილ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა- განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოვაცხადებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვცვალავს ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები საკმარისი არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გაგლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებითი შენიშვნებს და იმას, წარმოადგენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომელთაც შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• ვადგებით და ვაფასებთ თაღლითობით ან ძევდობით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა- განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები საკმარისი არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომელთაც შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.


აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს დალი ბაკაშვილი.

შპს „ბაკაშვილი და კომპანია“ - : SARAS-F-887264
გარიგების პარტნიორი - SARAS-A-509177

დალი ბაკაშვილი



11 დეკემბერი 2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს დალი ბაკაშვილი.

შპს „ბაკაშვილი და კომპანია“ - : SARAS-F-887264

გარიგების პარტნიორი - SARAS-A-509177

დალი ბაკაშვილი

11 დეკემბერი 2024

შპს „ივერმედი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	15,008
არამატერიალური აქტივები		109
სხვა აქტივები		17
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,135
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	7	3,078
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ნეტო)	8	13,381
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდ. აქტივები	9	1,322
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	9,464
სულ მოკლევადიანი აქტივები		27,245
სულ აქტივები		42,380
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მფლობელთა საკუთარი კაპიტალი		
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი		2
გადაფასების რეზერვი		-
აკუმულირებული მოგება		35,638
სულ მფლობელთა საკუთარი კაპიტალი		35,639
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	11	40
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		40
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,700
საგადასახადო ვალდებულება		-
საგარანტიო ანარიცხი		-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,700
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		42,380

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი 
დირექტორი

თამარ წივწივაძე

მთავარი ბუღალტერი

გვერდი

6

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	15,008	13,700
არამატერიალური აქტივები		109	37
სხვა აქტივები		17	17
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,135	13,754
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,078	3,443
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ნეტო)	8	13,381	11,194
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდ. აქტივები	9	1,322	1,016
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	9,464	10,964
სულ მოკლევადიანი აქტივები		27,245	26,617
სულ აქტივები		42,380	40,371
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მფლობელთა საკუთარი კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი		2	2
გადაფასების რეზერვი		-	1,697
აკუმულირებული მოგება		35,638	32,308
სულ მფლობელთა საკუთარი კაპიტალი		35,639	34,007
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	40	40
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		40	40
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,700	6,104
საგადასახადო ვალდებულება		-	220
საგარანტიო ანარიცხი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,700	6,324
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		42,380	40,371

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

თამარ წივწივაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	47,124	38,550
გაყიდვების თვითღირებულება	14	(36,094)	(30,554)
საერთო მოგება:		11,030	7,996
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	15	(822)	(424)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(7,079)	(7,186)
ფინანსური ხარჯი/(ნეტო)	17	209	(788)
სხვა მოგება/(ზარალი)	18	1,112	879
მიმდინარე წლის მოგება		4,449	477
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი		(67)	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ შემოსავლის წლიური ჯამი		4,383	477

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

დ. მეგრელიშვილი

დირექტორი

თამარ წივწივაძე

მთავარი ბუღალტერი

თამარ წივწივაძე

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	47,124	38,550
გაყიდვების თვითღირებულება	14	(36,094)	(30,554)
საერთო მოგება:		11,030	7,996
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	15	(822)	(424)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(7,079)	(7,186)
ფინანსური ხარჯი/(ნეტო)	17	209	(788)
სხვა მოგება/(ზარალი)	18	1,112	879
მიმდინარე წლის მოგება		4,449	477
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი		(67)	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ შემოსავლის წლიური ჯამი		4,383	477

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

თამარ წივწივაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	1,697	34,794	36,493
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	-	477	477
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(2,963)	(2,963)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	1,697	32,308	34,007
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	-	4,383	4,383
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(1,697)	1,697	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(2,749)	(2,749)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	-	35,639	35,641

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

დირექტორი

თამარ წივწივაძე

მთავარი ბუღალტერი

გვერდი

8

შპს „ივერმედი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	1,697	34,794	36,493
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	-	477	477
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(2,963)	(2,963)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	1,697	32,308	34,007
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	-	4,383	4,383
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(1,697)	1,697	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(2,749)	(2,749)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	-	35,639	35,641

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

თამარ წივწივაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	12/31/2023	12/31/2022
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	46,636	37,070
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფ.სახსრები	(40,867)	(29,794)
ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)		
ბიუჯეტში გადახდილი ფ.სახსრები	(3,923)	(3,509)
სხვა ხარჯებში გადახდილი ფ.სახსრები	(152)	(141)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,695	3,626
მიღებული პროცენტები	142	207
გადახდილი პროცენტები	-	-
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები ფულადი სახსრები	1,837	3,833
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შემენბელობა	(883)	(425)
მიღებული დივიდენდი	(0)	-
საინვესტიციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები ფულადი სახსრები	(883)	(425)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	-	-
გადახდილი სესხები	-	-
გადახდილი დივიდენდი	(2,611)	(2,815)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(2,611)	(2,815)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	10	10,964
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში	(1,657)	593
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	157	(1,295)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	10	9,464

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი



დირექტორი

თამარ წივწივაძე

მთავარი ბუღალტერი

გვერდი

9

შპს „ივერმედი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	12/31/2023	12/31/2022
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	46,636	37,070
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფ.სახსრები	(40,867)	(29,794)
ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)		
ბიუჯეტში გადახდილი ფ.სახსრები	(3,923)	(3,509)
სხვა ხარჯებში გადახდილი ფ.სახსრები	(152)	(141)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,695	3,626
მიღებული პროცენტები	142	207
გადახდილი პროცენტები	-	-
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები ფულადი სახსრები	1,837	3,833
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(883)	(425)
მიღებული დივიდენდი	(0)	-
საინვესტიციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები ფულადი სახსრები	(883)	(425)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	-	-
გადახდილი სესხები	-	-
გადახდილი დივიდენდი	(2,611)	(2,815)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(2,611)	(2,815)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	10	10,964
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში	(1,657)	593
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	157	(1,295)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	10	9,464

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 11 დეკემბერს:

დავით მეგრელიშვილი

თამარ წივწივაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს ივერმედი (შემდგომში „ჯგუფი“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩის I შესახვევი, N 2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო საგნების და სამედიცინო აპარატურის რეალიზაცია და თანმხლები მომსახურება.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის და ჯგუფის მაკონტროლებელ პირებს წარმოადგენენ: ბ-ნი ლევან ლაზარაშვილი 30% - პ/ნ 01006000785, ბ-ნი ზაზა ლაზარაშვილი 30 % - პ/ნ 01024010113, ბ-ნი რევაზ ჯორბენაძე 15% - პ/ნ 01018003577, ბ-ნი იოსებ ჯორბენაძე 15 % - პ/ნ 0101701074 და ბ-ნი დავით მეგრელიშვილი 10% - 01008019371.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს და ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ საწარმოს:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	წილის ფლობა		საოპერაციო საქმიანობა
		31.12.2022	31.12.2023	
შპს აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება

შვილობილი კომპანიის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა N-2 ში.

2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომ „ფასს სტანდარტები“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები დამრგვალებულია ათას ლარამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ივერმედის“ და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორობის კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება. იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება

- სამართლიანი ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით

- სამართლიანი ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება. ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით):

ა) თუ ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

ბ) თუ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფასს 9-ის მოთხოვნები უფრო მეტად იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს-15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას, რომლებიც არ არიან შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარებისას ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე, რომლის გამიჯვნა ხდება სამ დონედ:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (1 დონე), და

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2);

- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი ფლობს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება. ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი წარედგინება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი სამართლიანი ღირებულება.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზდება. ჯგუფს ასეთი ხარჯები არ გააჩნია.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და ჯგუფის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ჯგუფი

შენობა-ნაგებობები

მოწყობილობები

ოფისის მოწყობილობები და ავეჯი

სატრანსპორტო საშუალებები

სასარგებლო მომსახურების ვადა

25

5 წელი

25 წელი

5 წელი

5,12 წელი

5 წელი

არამატერიალური აქტივები. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად და განისაზღვრება 15 წლით არამატერიალური აქტივების ყველა კატეგორიისთვის. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე მოწმდება ყოველთვის, როდესაც ჩნდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშანი. სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზაციის პერიოდის, ან მეთოდის შეცვლა ხდება, როდესაც არის ცვლილება მოსალოდნელ სასარგებლო მოხმარების ვადაში, ან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ სქემაში და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში. სასრული მოხმარების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების ნაწილად, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამისია.

ჯგუფის სარგებლობაში მყოფ არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამები, ლიცენზიები და ვებგვერდი.

მარაგი. მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამება ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის სამართლიანი ღირებულებით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

მოგების გადასახადი. მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი/(ანაზღაურებადი) წლის შემოსავალზე/ (ზარალზე), საანგარიშო თარიღის შესაბამისად არსებული ან სპეციალურად დადგენილი გადასახადის განაკვეთების გამოყენებით, ასევე წინა წლებში არსებული გადასახადების ნებისმიერი კორექტირების გათვალისწინებით.

2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა), ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი), გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი. შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლისთვის. დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივის, ან საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

ამონაგები. ამონაგები აღიარდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებლისთვის დაპირებული სერვისის მიწოდებით.

ჯგუფი აღიარებს საკონტაქტო ვალდებულებებს ანაზღაურებულად (წინასწარ ანაზღაურებულად) საკონტრაქტო შეუსრულებელი სამუშაოების მიხედვით და ამ თანხებს აფიქსირებს, როგორც მიღებული ავანსები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მსგავსად, თუკი ჯგუფი შეასრულებს კონტრაქტის ვალდებულებებს, მანამ, სანამ მიიღებს ანაზღაურებას, ჯგუფი აღიარებს მას, როგორც მოთხოვნას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, იმის მიხედვით, არის თუ არა დრო ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ამონაგების აღიარებისას ჯგუფი განიხილავს ხუთ საფეხურიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. ამონაგების აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

ხარჯის აღიარება. მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

- ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და
- ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

- ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და
- ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფში დასაქმებულები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას ჯგუფი ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3 სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს ჯგუფი აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ ჯგუფის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

4 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41- ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება- ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად.

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდა მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის. ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა. ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმო, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემდგომ პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელი საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში. ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა მიღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა. ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შესძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასება ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომდებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ. ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

ჯგუფი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნებათ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლება გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. ჯგუფი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოსალოდნელია არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

5 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მიწა და შენობა-ნაგებობები	ოფისის მოწყობილობები და ავეჯი, სამედიცინო, სხვა ტექ. დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	მშენებლობა	სულ
31.12.2021	1,118	13,072	10,135	666	-	24,991
შემენა	-	95	3,295	92	67	3,549
გასვლა	-	-	(105)	(10)	(67)	(182)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(52)	-	(52)
31.12.2022	1,118	13,167	13,325	696	-	28,306
შემენა	-	425	2,765	13	96	3,299
გასვლა	-	-	(134)	(1)	(1)	(136)
დაგროვილი ცვეთა	-	-	(30)	(2)	(16)	(48)
31.12.2023	1,118	13,592	15,926	706	79	31,421
ცვეთა						
31.12.2021	-	(4,017)	(8,048)	(434)	-	(12,499)
პერიოდის ცვეთა	-	(500)	(1,592)	(67)	-	(2,159)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	52	-	52
31.12.2022	-	(4,517)	(9,640)	(449)	-	(14,606)
პერიოდის ცვეთა	-	(511)	(1,300)	(51)	(47)	(1,909)
დაგროვილი ცვეთა	-	-	84	2	16	102
31.12.2023	-	(5,028)	(10,856)	(498)	(31)	(16,413)
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
31.12.2021	1,118	9,055	2,087	232	-	12,492
31.12.2022	1,118	8,650	3,685	247	-	13,700
31.12.2023	1,118	8,565	5,070	208	48	15,008

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

6 სხვა აქტივები	31.12.2023	31.12.2022
გადახდილი ავანსები	17	17
სულ სხვა აქტივები	17	17
7 მარაგები	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	2,915	2,542
მედიკამენტები და სახარჯი მასალები	-	756
საქონელი გზაში	117	
სხვა მარაგები	47	145
სულ მარაგები	3,078	3,443
8 სავაჭრო მოთხოვნები (ნეტო)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	14,900	12,713
საექვო ვალების რეზერვი	(1,519)	(1,519)
სულ სავაჭრო მოთხოვნები (ნეტო)	13,381	11,194
9 გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	31.12.2023	31.12.2022
წინასწარგაწეული ხარჯი	375	30
სავაჭრო პირობებში მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	838	750
სხვა აქტივები	108	236
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	1,321	1,016
10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	5	7
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	2,545	5,511
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	6,913	5,446
ფული გზაში	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,464	10,964
11 სესხები	31.12.2023	31.12.2022
სხვა გრძელვადიანი სესხი	40	40
სულ სესხები	40	40
ვალდებულებების დაფარვის გრაფიკი:		
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:	31.12.2023	31.12.2022
1 წლის განმავლობაში	-	-
1-დან 3 წლამდე ვადაში	-	-
5 წლის განმავლობაში	40	40
სულ სესხები	40	40

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	3,755	4,176
მიღებული ავანსები	1,943	1,089
გადასახდელი ხელფასები	936	775
გადასახდელი გადასახადები	-	51
სხვა ვალდებულებები	67	13
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,701	6,104

საგარანტიო ანარიცხები შექმნილია გაყიდულ საქონელთან დაკავშირებულ საგარანტიო ვალდებულებებთან დაკავშირებით. ანარიცხის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

13 შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი

	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	25,540		25,540
სამედიცინო აპარატურის რემონტი		1,315	1,315
სამედიცინო მომსახურების გაწევით:		20,104	20,104
მიღებული შემოსავალი		165	165
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან			
ხელშეკრულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი		19,200	19,200
გრძელვადიანი		60	60
საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში		19,200	19,200
დროთა განმავლობაში		50	50
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	25,540	21,584	47,124

შპს „ივერმედი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შემოსავალი რეალიზაციიდან 2022 წელი

	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	18,678	-	18,678
სამედიცინო აპარატურის რემონტი	-	1,097	1,097
სამედიცინო მომსახურების გაწევით:	-	18,693	18,693
მიღებული შემოსავალი	-	-	
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან	-	82	82
ხელშეკრულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	18,678	19,790	38,468
გრძელვადიანი	-	82	82
საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში	-	18,693	18,693
დროთა განმავლობაში	-	-	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	18,678	19,872	38,550

14 გაყიდვების თვითღირებულება

	2023	2022
ჯგუფის მიერ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(16,000)	(15,402)
ჯგუფის მიერ სამედიცინო მომსახურებაში გამოყენებული მედიკამენტები	(4,661)	(4,880)
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(11,922)	(6,788)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,729)	(1,903)
სერვისის დროს გამოყენებული მარაგი	(144)	(62)
სხვა ხარჯი	(1,637)	(1,519)
სულ გაყიდვების თვითღირებულება	(36,094)	(30,554)

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

15 გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი

	2023	2022
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(417)	(295)
სარეკლამო ხარჯი	(56)	(34)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(46)	(86)
მიწოდების სხვა ხარჯები	(303)	(9)
სულ გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	(822)	(424)

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(4,642)	(4,099)
შემძენილი მომსახურებები	(163)	(725)
ჩამოწერილი მოთხოვნა	-	(665)
მოგებით დასაბეგრი ხარჯი (ესტონური მოდელი)	(1)	(188)
უიმედო ვალების ხარჯი	-	-
მივლინების ხარჯი	(293)	(172)
ცვეთა და ამორტიზაცია	(269)	(256)
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(226)	(130)
საქველმოქმედო ხარჯი	(9)	(9)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(84)	(13)
საოფისე ხარჯი	(105)	(90)
საგადასახადო ხარჯი	(24)	(16)
საწვავის ხარჯი	(34)	(61)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(76)	(41)
საბანკო მომსახურება	(102)	(14)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(1,052)	(707)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(7,079)	(7,186)

17 ნეტო ფინანსური შემოსულობა /(ხარჯი)

	2023	2022
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	16	(1,051)
საპროცენტო შემოსულობა	192	208
დისკონტირება	-	-
სხვა შემოსულობა (ხარჯი)	-	55
სულ ფინანსური შემოსულობა (ნეტო)	209	(788)

18 სხვა მოგება (ნეტო)

	2023	2022
უიმედო დებიტორული მოთხოვნის კორექტირება	(7)	167
ძირ. საშუალებების გასვლა	11	(86)
უსასყიდლოდ მიღებული აპარატურა და სახარჯი მასალა	1,020	364
ვადაგასული მედიკამენტების ჩამოწერა	-	(71)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	87	505
სულ ფინანსური შემოსულობა (ნეტო)	1,112	879

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

19 კაპიტალი

ა) საწესდებო კაპიტალი - საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 ათას ლარს.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

ბ) დივიდენდები - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია ჯგუფის მაქსიმალური აკუმულირებული მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება აკუმულირებული მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2023 წელს ჯგუფს გამოცხადებული და გაცემული აქვს დივიდენდები 2,749 ათასი ლარის ოდენობით.

20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევს ჯგუფის სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

სასამართლო დავები - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური აკუმულირებული მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება აკუმულირებული მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

21 ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

გრძელვადიანი აქტივები	31.12.2023	31.12.2022
სხვა აქტივები		
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძ. მოთხოვნები	13,674	1,016
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	13,381	11,194
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	9,464	10,964
მაქ. დაქვემდებარება საკ. რისკის ფაქტორისადმი	36,519	23,174

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება ბალანსიდან შესაბამისი რეზერვის შემცირების გზით, როდესაც არ არსებობს ადეკვატური მოლოდინი იმისა რომ მოხდება შესაბამისი თანხების ამოღება. სხვა ფაქტებთან ერთად ამ ფაქტის ერთ-ერთი ინდიკატორია 180 დღიანი ვადაგადაცილება და დამატებითი გრაფიკის პირობების დარღვევა.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას მენეჯმენტი ითვალისწინებს, მოხდა თუ არა დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის ვადაგადაცილება, ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რაიმე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი.

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა-სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ჯგუფი არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების

ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკები წარმოიქმნება: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკების მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

> საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე.

> სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. ჯგუფს მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც ჯგუფი აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	31.12.2023
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,565	500	6,398	1	9,464
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,141	674	2,567	-	13,382
სულ ფინანსური აქტივები	12,706	1,174	8,965	1	22,844
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,860	146	1,694	-	6,700
სასესხო ვალდებულება	40	-	-	-	40
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,900	146	1,694	-	6,740

შპს „ივერმედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	31.12.2022
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,517	845	4,602	-	10,964
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,030	575	2,589	-	11,194
სულ ფინანსური აქტივები	13,547	1,420	7,191	-	22,158
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,162	237	3,705	-	6,104
სასესხო ვალდებულება	40	-	-	-	40
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,202	237	3,705	-	6,144

ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლებ	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	6,688	-	6,688
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და პროცენტები	-	40	-	40
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	6,688	-	6,688

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გვერდი

29

შპს „ივერმედი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31.12.2023
დებიტორული დავალიანების ნაშთი	965
შრომის ანაზღაურება	-
სულ:	965

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია/(ამონაგები) ხარჯად/(შემოსავლად) აღიარებული	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	472
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-
სულ:	472

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31.12.2022
დებიტორული დავალიანების ნაშთი	-
შრომის ანაზღაურება	(92)
სულ:	(92)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია/(ამონაგები) ხარჯად/(შემოსავლად) აღიარებული	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	(1,813)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(24)
შემოსავალი რეალიზაციიდან	235
სულ:	(1,602)

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

23 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 11 დეკემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ივერმედი-ს
(ჯგუფის კონსოლიდირებული)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისთვის
მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიში	3
1. ჯგუფი და მისი დამფუძნებლები	3
2. შემოსავლები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები.....	4
4. საქმიანობის განვითარების გეგმები	4
5. დასაქმებულთა რაოდენობა.....	6
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა	6
7. ფინანსური რისკების გარდა ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი	6
8. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	6
9. ფინანსური რისკები	6
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	6
11. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა	6
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები.....	6

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში

1. ჯგუფი და მისი დამფუძნებლები

ჯგუფში შემავალი მშობელი კომპანია „ივერმედი“, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირდა 1995 წლის 1 ნოემბერს, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ: სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-163, საიდენტიფიკაციო კოდი - 211 357 841, საწესდებო კაპიტალით 1,633 ლარი (1,020 დოლარის ექვივალენტი), დავით მეგრელიშვილისა და გიორგი მახვილაძის მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით.

სხვადასხვა დროს განხორციელდა ცვლილებები პარტნიორთა შემადგენლობაში, მაგრამ ბოლო დროს 2017 წლის 12 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად შპს „ივერმედი“-ს პარტნიორები არიან :

1. ლევან ლაზარაშვილი	3/5 01006000785	30%
2. ზაზა ლაზარაშვილი	3/5 01024010113	30%
3. რევაზ ჯორბენაძე	3/5 01018003577	15%
4. იოსებ ჯორბენაძე	3/5 01017010704	15 %
5. დავით მეგრელიშვილი	3/5 01008019371	10 %

ჯგუფში შემავალი დედა კომპანიის დირექტორი დაარსების დღიდან არის დავით მეგრელიშვილი, რომელიც საზოგადოებას წარმოადგენს ერთპიროვნულად, ხოლო გენერალური მენეჯერია ლევან ლაზარაშვილი. ჯგუფის მაკონტროლებელ პირებს წარმოადგენენ: ბ-ნი ლევან ლაზარაშვილი და ბ-ნი ზაზა ლაზარაშვილი.

ჯგუფში შემავალი დედა კომპანია განთავსებულია მისივე საკუთრებაში არსებულ, სამსართულიანი თანამედროვე ტიპის შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი ნოდარ ბოხუას 1 შესახვევი N2.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი სამსახურების სახით:

1. ადმინისტრაცია
2. საფინანსო სამსახური
3. მომხმარებელთან ურთიერთობისა და რეალიზაციის სამსახური
4. გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახური
5. საინჟინრო - ტექნიკური სამსახური
6. საწყობი
7. ლოჯისტიკის სამსახური

2. შემოსულობა

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი

	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	25,540		25,540
სამედიცინო აპარატურის რემონტი		1,315	1,315
სამედიცინო მომსახურების გაწევით: მიღებული შემოსავალი		20,104	20,104
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან		165	165
ხელშეკრულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი		19,200	19,200
გრძელვადიანი		60	60
საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში		19,200	19,200
დროთა განმავლობაში		50	50
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	25,540	21,584	47,124

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

ძირითადი საშუალებების - საწარმოო სიმძლავრეების ფინანსური დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	მიწის ნაკვეთები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ოფისის მოწყობილობები და ავეჯი, სამედიცინო, სხვა ტექ. დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	მშენებლობა	სულ
31.12.2021	1,118	13,072	10,135	666	-	24,991
შემენა/კაპიტალიზება	-	95	3,295	92	67	3,549
გასვლა	-	-	(105)	(10)	(67)	(182)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(52)	-	(52)
31.12.2022	1,118	13,167	13,325	696	-	28,306
შემენა	-	425	2,765	13	96	3299
გასვლა	-	-	(134)	(1)	(1)	(136)
დაგროვილი ცვეთა	-	-	(30)	(2)	(16)	(48)
31.12.2023	1,118	13,592	15,926	706	79	31,421
ცვეთა						
31.12.2021	-	(4,017)	(8,048)	(434)	-	(12,499)
პერიოდის ცვეთა	-	(500)	(1,592)	(67)	-	(2,159)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	52	-	52
31.12.2022	-	(4,517)	(9,640)	(449)	-	(14,606)
პერიოდის ცვეთა	-	(511)	(1300)	(51)	(47)	(1909)
დაგროვილი ცვეთა	-	-	84	2	16	102
31.12.2023	-	(5,028)	(10,856)	(498)	(31)	(16,413)
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
31.12.2021	1,118	9,055	2,087	232	-	12,492
31.12.2022	1,118	8,650	3,685	247	-	13,700
31.12.2023	1,118	8,565	5,070	208	48	15,008

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

ჯგუფში შემავალი კომპანიების მისია არის თავის მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხისა და უახლესი ტექნოლოგიებით წარმოებული სამედიცინო პროდუქციის ფართო სპექტრი, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს მედიცინის სფეროში. ჯგუფი მაღალკვალიფიციური საინჟინრო პერსონალის მეშვეობით ახორციელებს მაღალი ხარისხის სერვისს, რომლის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით პერიოდულად ახდენს საკადრო პერსონალის გადამზადებას უცხოეთში. კომპანიის თანამშრომლები სისტემატიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოფენებზე, აწყობენ პრეზენტაციებს თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ზოგად მიზნებს, გარდა უახლესი თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების შემოტანისა, წარმოადგენს საფასო პოლიტიკისა და გაყიდვების კონცეფციის ოპტიმიზაცია, ბიზნეს აქტივების სტაბილურობა, მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარება და ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების შესრულება.

ჯგუფში შემავალი მშობელი კომპანია თავისი საქმიანობის 25 წლიანი გამოცდილებით შესაბამის ბაზარზე ძლიერად არის წარმოდგენილი და მისი ცნობადობაც მამუტურია, აქვს კარგი რეპუტაცია და მზარდი განვითარების დინამიკა, ორიენტირებულია მომხმარებელზე. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი, კეთილ-განწყობილი ურთიერთობის დამყარებას. ყოველდღიური ზრუნვის საგანია ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა, თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება.

2010 წელს საკმაოდ სერიოზული ინვესტიცია განახორციელა კომპანიამ და გახდა შპს „აკად. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“-ს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მფლობელი.

შპს „ივერმედი“, წარმატებით გაართვა თავი ნაკისრ ვალდებულებებს და უზრუნველყო ზემოთ აღნიშნულ კლინიკაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სერიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, სრულფასოვანი კარდიოლოგიური რეაბილიტაციის სამსახურის შექმნა, რაც პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ნათელი დადასტურებაა.

ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიაში (ჰოსპიტალი) დანერგილია ყველა სახის კარდიოლოგიური და ანგიოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მეთოდები (კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია და ანგიოლოგია, ანგიოქირურგია, კარდიოქირურგია, ელექტროფიზიოლოგია/აბლაცია, სრულყოფილი ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები). არსებული სამედიცინო აღჭურვილობა შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს (სიმენსი, ფილიპსი, დრეგერი, ფრეზენიუსი, და სხვა).

წლის განმავლობაში ჰოსპიტალი ემსახურება 8,000-მდე სტაციონარულ და 14,000-მდე ამბულატორიულ პაციენტს. კეთდება 600-მდე მაღალტექნოლოგიური ოპერაცია გულზე, სისხლძარღვებზე და 2,500-მდე ინტერვენციული პროცედურა (ანგიოგრაფია, კორონაროგრაფია, ანგიოპლასტიკა კორონარების და ენდოვასკულარული ჩარევები პერიფერიულ სისხლძარღვებზე). 1,500-მდე პაციენტს უტარდება არითმოლოგიური პროცედურები.

ჯგუფს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო დაწესებულებების არა მარტო სამედიცინო ტექნიკით აღჭურვის საქმეში, არამედ ეხმარება მათ შესაბამისი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებში. დაფინანსებულია მრავალი ექიმის ტრენინგები უცხოეთში.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით, პერიოდულად ხელფასების გაზრდას, პრემიების გაცემასა და სხვადასხვა სასწავლო პროგრამებზე, სწავლის დაფინანსების საკითხებს. უტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში.

ჯგუფში შემავალი დედა კომპანია აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი სისტემით. პერიოდულად ახლდება ინვენტარი, 24 საათიანი თანამედროვე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დროის შესახებ ზუსტი და ოპერატიული ინფორმაციის მისაღებად დანერგილია თანამშრომელთა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.

ჯგუფის საქმიანობა რაიმე სახის მავნე გავლენას არ ახდენს გარემოზე და გამომდინარე აქედან გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმა შემუშავებული არ არის. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ კომპანია მონაწილეობას იღებს ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ აქციებში და საჭიროების მიხედვით ახორციელებს ფინანსურ მხარდაჭერასაც.

2010 წელს ჯგუფში შემავალმა დედა კომპანიამ წარმატებით გაიარა აუდიტი საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 – 2008-ის მოთხოვნების მიხედვით და გახდა შესაბამისი სერთიფიკატის მფლობელი.

2016 წლიდან კი შპს „ივერმედი“, ახალი ISO 9001 – 2015-ის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად განაგრძობს მუშაობას. შეიმუშავა, განახორციელა, შეინარჩუნა და მუდმივად აუმჯობესებს ხარისხის მართვის სისტემას საჭირო პროცესებითა და მათი ურთიერთქმედებით ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით შემუშავებულია მეთოდური ინსტრუქციები, საწარმოს ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის, რომელიც შედის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოქმედების სფეროში და რომელიც მოიცავს შესყიდვების, შესყიდული მასალების ტრანსპორტირების, შენახვისა და მიწოდების, ტექნიკური სერვისის, მომხმარებელზე ორიენტაციის, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის, შიდა აუდიტისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კონკრეტულ სამოქმედო გეგმას.

ჯგუფს ახალი საქმიანობის დაწყების გეგმები არ აქვს და გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

ჯგუფში დასაქმებულია 416 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა ჯგუფში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა სხვა რისკების ანალიზი ჯგუფში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის (2023 წელი) მანძილზე არც შეუძენია და არც გაუსხვისებია რაიმე სახის აქციები.

11. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა


ჯგუფს რაიმე სახის სამეცნიერო კვლევები ნაწარმოები არ აქვს.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფში შემავალი დედა კომპანიის დირექტორის მიერ, 2024 წლის 11 დეკემბერს.

ბნ. დავით მეგრელიშვილი, დირექტორი



ჯგუფს ახალი საქმიანობის დაწყების გეგმები არ აქვს და გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

ჯგუფში დასაქმებულია 416 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა ჯგუფში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა სხვა რისკების ანალიზი ჯგუფში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის (2023 წელი) მანძილზე არც შეუძენია და არც გაუსხვისებია რაიმე სახის აქციები.

11. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

ჯგუფს რაიმე სახის სამეცნიერო კვლევები ნაწარმოები არ აქვს.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფში შემავალი დედა კომპანიის დირექტორის მიერ, 2024 წლის 11 დეკემბერს.

ბნ. დავით მეგრელიშვილი, დირექტორი
